

---

## მწვანე ალტერნატივას შენიშვნები

### საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის პროექტის თაობაზე

15 აგვისტო, 2014 წ.

---

#### შესავალი

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ ა.წ. 25 ივლისს გამოაქვეყნა საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის პროექტი, რომლის მიზანს წარმოადგენს ენერგეტიკის დარგის განვითარების ერთიანი გრძელვადიანი სახელმწიფოებრივი ხედვის ჩამოყალიბება, რომელიც იქნება ენერგეტიკის დარგში განვითარების მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი სტრატეგიების და მათზე დაფუძნებული ენერგეტიკული სექტორის პროგრამების შემუშავებისა და დარგის მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზის განვითარების საფუძველი. აღნიშნული მიზნის მიღწევის მიზნით, წარმოდგენილ დოკუმენტში განისაზღვრა და ჩამოყალიბდა ენერგეტიკის ძირითადი პრიორიტეტები და სტრატეგიული მიმართულებები, რომელსაც უნდა დაეყრდნოს ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო სტრატეგია, რომელიც ამჟამად მუშავდება საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ.

ამდენად, წარმოგიდგინთ მწვანე ალტერნატივას შენიშვნებს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ წარმოდგენილ საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის პროექტის თაობაზე.

#### საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის არსი

პირველ რიგში მისასალმებელია თავად ის ფაქტი, რომ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ ენერგოსექტორის გრძელვადიანი დაგეგმვის მიზნით, დაიწყო მუშაობა ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო სტრატეგიაზე, თუმცა მეორეს მხრივ, გაუგებარია, რატომ უნდა დაეფუძნოს სწორედ წარმოდგენილ დოკუმენტს ენერგეტიკის სექტორში სახელმწიფო სტრატეგია, რომელიც ამჟამად შემუშავების პროცესშია.

საქმე იმაშია, რომ ეს ჩანაწერი საერთოდ უკარგავს აზრს ენერგოსექტორში დაწყებულ ამ ქვეყნისთვის უაღრესად მნიშვნელოვან პროცესს და წარმოადგენს ენერგოსექტორში დღეს არსებული რეალობის გაგრძელების მცდელობას. ამის ნათელი მაგალითია დოკუმენტში „საქართველოს განახლებადი ენერგეტიკული რესურსების ათვისების“ ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად განსაზღვრა, სადაც ძირითადი აქცენტი სწორედ ჰიდრორესურსების ათვისებაზე კეთდება. თუმცა უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ მიუხედავად იმისა რომ საქართველოს მთავრობასა და ქართულ თუ უცხოურ კომპანიებს შორის დადებულია 40-ზე მეტი ურთიერთგაგების მემორანდუმი ან/და შეთანხმება 100-მდე

მცირე, საშუალო და დიდი ჰესების მშენებლობაზე და აღნიშნული პროცესი კვლავ გრძელდება<sup>1</sup>. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ახალი ობიექტების მიერ გამოიმუშავებული ელექტროენერჯის უდიდესი ნაწილი საექსპორტოდ არის განკუთვნილი და არა შიდა მოხმარების დასაკმაყოფილებლად.

მიგვაჩნია, რომ ენერგეტიკის განვითარების სტრატეგიული გეგმა უნდა ეფუძნებოდეს არა წინასწარ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე განსაზღვრულ მიმართულებებსა და პრიორიტეტებს, არამედ ქვეყანაში ენერგოსაჭიროებების შეფასების პროცესს, სადაც განსაზღვრული უნდა იყოს ქვეყნის გრძელვადიანი ენერგოსაჭიროებები და ამ საჭიროებების დაკმაყოფილების როგორც ტექნიკურად, ეკონომიკურად და ფინანსურად, ისე გარემოსდაცვითი და სოციალური თვალსაზრისით მისაღები საუკეთესო სცენარები. აღნიშნულ საკითხზე არის გაკეთებული ძირითადი აქცენტი კაშხლების მსოფლიო კომისიის ანგარიშშიც<sup>2</sup>, სადაც დეტალურად არის აღწერილი ენერგოსექტორის დაგეგმვის პროცესი.

### კაშხლების მსოფლიო კომისიის რეკომენდაცია

კაშხლების მსოფლიო კომისიის რეკომენდაციით, პირველ რიგში, ქვეყანამ უნდა შეიმუშაოს ქვეყნის ენერგეტიკული სექტორის განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომელიც უნდა დაეფუძნოს ენერგეტიკული საჭიროებების შეფასების პროცესს და მისი დაკმაყოფილების საუკეთესო სცენარს, არამარტო ტექნიკური, ეკონომიკური და ფინანსური თვალსაზრისით, არამედ, გარემოსდაცვითი და სოციალური თვალსაზრისითაც.

ამასთან გასათვალისწინებელია, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს დაგეგმვის ღია და დეცენტრალიზებული პროცესი, რისთვისაც უნდა მოხდეს ყველა დაინტერესებული მხარის იდენტიფიცირება ენერგეტიკული საჭიროებების დადგენის პროცესის დაწყებამდე და უზრუნველყოფილ იქნეს განხილვის პროცესში მათი ჩართვა.

ენერგეტიკის სექტორში არსებული საჭიროებების შეფასების სამუშაო ვერსიის მომზადების შემდეგ სახელმწიფო ვალდებულია, მოაწყოს ეროვნულ ან/და რეგიონულ დონეზე ამ დოკუმენტის საჯარო განხილვები, ხოლო თუ საჭირო გახდა, დამატებით, აუცილებელია, კონსულტაციების მოწყობაც მიზნობრივ ჯგუფებთან.

კომისიის რეკომენდაციით, ენერგეტიკულ სექტორში არსებული საჭიროებების დადგენის შემდეგ, აუცილებელია, მომზადდეს არსებული ენერგეტიკული საჭიროებების დაკმაყოფილების სხვადასხვა სცენარები, სადაც განხილული და შეფასებული უნდა იყოს თავად არსებული ენერგეტიკული პოლიტიკა და პროგრამები, დაგეგმილი პროექტის მასშტაბი, გეოგრაფიული არეალი და ის, თუ რამდენად პასუხობს ეს გეგმები არსებულ გამოწვევებს.

ამასთან, აუცილებელია, უკვე შემუშავებულ სცენარებს ჩაუტარდეს სტრატეგიული

<sup>1</sup> <http://www.energy.gov.ge/show%20news%20mediacenter.php?id=304&lang=geo>

<sup>2</sup> მსოფლიო ბანკისა და ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) ინიციატივით შეიქმნა კაშხლებზე მსოფლიო კომისია 1998 წლის მაისში, რომლის მიზანი იყო შეესწავლა დიდი კაშხლების განვითარების მიზანშეწონილობა, შეეფასებინა წყლის რესურსების ათვისების ალტერნატივები ენერგეტიკული თვალსაზრისით და შეემუშავებინა საერთაშორისოდ მიღებული კრიტერიუმები, გზამკვლევები და სტანდარტები კაშხლებისთვის; <http://www.internationalrivers.org/resources/dams-and-development-a-new-framework-for-decision-making-3939>

გარემოსდაცვითი შეფასება, რათა დაგეგმვის ადრეულ ეტაპზევე მოხდეს სოციალური და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მიუღებელი ვარიანტების გამორიცხვა. ამასთან, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება უნდა ქმნიდეს უკვე დადგენილი სცენარებისთვის მრავალკრიტერიუმიანი შეფასების მოდელს, სადაც თითოეული კრიტერიუმის (უარყოფითი ზემოქმედების მასშტაბი, დანახარჯები, სარგებელი) მნიშვნელობა განსაზღვრული იქნება ყველა დაინტერესებული მხარის ჩართვის შედეგად. ეს კი, თავის მხრივ, უზრუნველყოფს სცენარების რანჟირების შესაძლებლობას.

სცენარების შეფასებისას, თანაბრად უნდა იყოს მიღებული მხედველობაში როგორც ტექნიკური, ეკონომიკური და ფინანსური ასპექტები, ისე გარემოსდაცვითი და სოციალური ასპექტები. საჭიროების შემთხვევაში, უნდა ჩატარდეს თითოეული სცენარის დამატებითი კვლევებიც, იმის შესაფასებლად, თუ რამდენად პასუხობს წარმოდგენილი სცენარი თავდაპირველად განსაზღვრულ განვითარების მიზნებს და იხილავს, თუ არა ისეთ საკითხებს, როგორცაა, მაგალითად:

- ენერგეტიკის სექტორში არსებული ინვესტიციების ოპტიმიზაციის საკითხი, რომელიც დაკავშირებულია არსებული ენერგო-ობიექტების რეაბილიტაციასთან, რათა გაიზარდოს ამ ობიექტების საოპერაციო ეფექტიანობა და პროდუქტიულობა;
- ელექტროენერგიაზე არსებული მოთხოვნის მართვის შეფასების საკითხი;
- დეცენტრალიზებული მიწოდების ვარიანტები და სათემო ინიციატივები;
- არსებული ენერგო-პოლიტიკისა და ინსტიტუციური რეფორმის საკითხები.

## დასკვნა

აღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ აუცილებელია, ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო სტრატეგია, რომელიც ამჟამად შემუშავების პროცესშია, დაეფუძნოს არა ნაჩქარევად შემუშავებულ პოლიტიკის დოკუმენტს, არამედ კაშხლების მსოფლიო კომისიის რეკომენდაციებს, რომელიც წარმოადგენს მსოფლიოში დღეს არსებულ საუკეთესო პრაქტიკას.